ინწობის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საეკლესიო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევა

მარიამ ნავერიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნოდარ ბახტაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს, ბატონ გიორგი გვალიას,

ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის

მაგისტრანტის, მარიამ ნავერიანის

განცხადება

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ნავერიანი

2021

აბსტრაქტი

ინწობის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საეკლესიო კომპლექსში გაერთიანებულია სხვადასხვა პერიოდისა და დანიშნულების შენობა-ნაგებობები, რომელიც მოიცავს პერიოდს ადრეული შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. კომპლექსის ყველაზე ადრეულ ნაგებობას იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამეკლესიიანი ბაზილიკა წარმოადგენს. მე-16 საუკუნეში ლევან კახთა მეფის მმართველობის დროს ნათლისმცემლის კომპლექსმა ძირეული ცვლილებები განიცადა და საეკლესიო ფუნქცია თავდაცვით ფუნქციად შეიცვალა. დაემატა თავდაცვითი ნაგებობები: გალავანი, გალავანში ჩართული კარიბჭე-კოშკი და ეკლესიის სამხრეთ ნავზე მიშენებული კოშკი. უფრო მოგვიანებით კომპლექსის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში, გალავნის გარეთ აუშენებიათ მრგვალი კოშკი. მე-16 საუკუნეშივე განუახლებიათ ეკლესია და მოუხატავთ. ჩვენამდე მოღწეული წერილობითი მასალებიდან ვიგებთ, რომ ეკლესიის ერთ-ერთ კედელზე ლევან მეფისა და დედოფალი თინათინის ფრესკები ყოფილა გამოსახული, თუმცა დღეისათვის მათი პორტრეტები შემორჩენილი არ არის, ვინაიდან თითქმის მთლიანადაა განადგურებული ეკლესიის მოხატულობა.

სამაგისტრო ნაშრომში მოცემულია კომპლექსში გაერთიანებული ნაგებობების არქიტექტურულ-სტილისტური ანალიზი, მათი აშენებისა და ფუნქციონირების თარიღების დასადგენად, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურისა და 2019-2020 წლებში კომპლექსის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ მასალებზეა დამყარებული.

საკვანძო სიტყვები: ნათლისმცემლის კომპლექსი, სამეკლესიიანი ბაზილიკა, თავდაცვითი ნაგებობები, გალავანი, კარიბჭე-კოშკი, მრგვალი კოშკი, არქეოლოგიური მასალები.

Abstract

The church complex named after John the Baptist in Intsobi Gorge, combines buildings of different periods and purposes, covering the period from the early Middle Ages to the late Middle Ages. The earliest building in the complex is the three-nave Basilica of St. John the Baptist. During the reign of Kakhetian King Levan in the 16th century, the Baptist complex underwent fundamental changes and the ecclesiastical function was changed to a defensive function. Defensive structures were added: a fortification, a gate-tower enclosed by a fortification wall, and a tower built on the south nave of the church. Later at the south-western edge of the complex, outside of the the fortification, a round tower was built. The church was renovated and painted in the 16th century. From the written sources is known that on one of the walls of the church there were frescoes of King Levan and Queen Tinatin. To this day, their images are not preserved and the painting of the church is almost completely destroyed. The master's thesis provides an architectural-stylistic analysis of the buildings united in the complex. The dates of their construction and operation are discussed in the scientific literature and based on the materials obtained as a result of archaeological excavations carried out on the territory of the complex in 2019-2020.

Keywords: John the Baptist complex, three-nave basilica, defense buildings, fortification, gate-tower, round tower, archeological materials.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში გაწეული დახმარებისთვის დიდი მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ ნოდარ ბახტაძეს. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეში მდებარე სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის არქეოლოგიური სამუშაოების ხელმძღვანელს, ბატონ ბორის გელაშვილს, არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებულ მასალებზე წვდომისათვის, აგრეთვე სარესტავრაციო პროექტის არქიტექტურული ნაწილის ხელმძღვანელს, ბატონ მიხეილ გელაშვილს.